# საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1547 2016 წლის 28 ივლისი ქ. თბილისი

**საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონებისა და სასადილოს ინვენტარის აუქციონის გარეშე სარგებლობაში გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიეცეს თანხმობა, მის ბალანსზე რიცხული, ქ. თბილისში, გორგასლის ქუჩა №16-ში მდებარე 395 კვ.მ უძრავი ქონების (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.18.05.002.006) და მის ბალანსზე რიცხული სასადილოს ინვენტარის აუქციონის გარეშე, სასყიდლით, 2016 წლის პირველი აგვისტოდან 2017 წლის პირველ აგვისტომდე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, შპს „ფუდ ფართისათვის“ (ს/ნ: 442570530) გადაცემის თაობაზე და სარგებლობაში გადაცემის ყოველთვიურ საფასურად განისაზღვროს 1 580 (ერთი ათას ხუთას ოთხმოცი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი